ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრი და ცხოვრება

№ 22 ფასი 15 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. თითო ნომერი — 15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის № 20 ქართ. ბეჭდვითი ამხ სტამბაში, რუსთ. № 26 ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, თიბათვის 20 | გამოცემა 1920 წ.



ვლ. ალ.-მესხიშვილი

მხცოვანი მსახიობი, ივნისის 13 რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა.



დები თარხნიშვილები თვისი მომღერალთა ჯგუფით

მარიამ ესტატეს თარხნიშვილის ასული, ეკატერინე (თავდახურული) და მისი, ფალავანდიშვილისა, დიმ. ზ. თარხნიშვილი, მეუღლე მარიამისა; გიორგი დავ. ფალავანდიშვილი, ვას. სამ კობახიძე და რევაზ მალალაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახელოვნო შენიშვნები

**„როლი არ წამიკითხავს“...**

სამხატვრო თეატრის ქურუმებმა დაგვიმტკიცეს, რომ მსახიობს მხოლოდ გული, გრძნობა, ბუნებითი ნიჭი არ ჰშველის, არამედ გონება, წრთვნა და მეცნიერული მომზადებაც. თითოეული მათგანი სცენაზე არ გამოვა, თუ როლი ასჯერ მაინც არ წაიკითხა, ამდენჯერვე რეპეტიცია არ გაიარა და პიესას აღმა-დაღმა არ გაეცნო.

ჩვენში?—დაილოცა ჩვენი ბრმა ბუნება, რომ ზოგიერთებს თვისი უხვების კალთას დააბერტყს ხოლმე, თორემ შენი მტერია, ჩვენ რომ სატირელ მდგომარეობაში ვიქნებოდით: ხშირია ჩვენში მსახიობი და **სცენის მოყვარეც** კი, რომ სცენაზე ისე გამოვა, არც კი იცოდეს, რისთვის გამოდის, რაღაც ღანდს, ციებ-ცხელებით შეპყრობილ ავადმყოფს, ან დამთხვეულს წარმოგიდგენს და თან თავს იმართლებს—„როლი არ წამიკითხავსო!“.

დღემდის თუ ასე იყო, ამიერიდან მაინც ნუ იქნება და ხელოვნების ღმერთის წინაშე ერთხელ მაინც ვიგრძნობთ სირცხვილი...

სცენა ის ასპარეზია, ის ჯადო-სარკე, სადაც ხელოვნების ყოველი დარგი აშკარად აისახება, ყოველი ნაშთი ნათლად გამოკრთება. . აქ ერთი ყალბი გაზგასმა, უშნო მიმოხვრა, შეუფერებელი მიმოხედვა, უალაგო ამოსუნთქვა მხატვრობას ჰპილწავს, ამახინჯებს; სასაცილოს სატირლად ხდის, სატირალს სასაცილოდ...

ჩვენში ღრმად ფეხგადგმულია ის ყალბი შეხედულება, ვითომც არსებობდეს დიდი და პატარა როლი—ამის თაობაზედ წინადაც მისაუბრნია და თუ დღეს კი დევ ერთხელ ვიხსენიებ, სამხატვრო თეატრის ქურუმთ ხილვით: ამ ქურუმებმა ნათლად დაგვიმტკიცეს, რომ დიდი და პატარა როლი არ არსებობს ხელოვნურ ნაწარმოების ყოველი წერტილი, ყოველი ხაზიც-კი მთლიანობის ნაწილაკია და ერთნაირადვე მოითხოვს შესრულებას.

ვინც ერთხელ მაინც თვალი მოჰკრა სამხატვრო თეატრის პატარა მსახურთ დიდ განმასახიერებელ მსახიობთა ხელოვნებას, ამ აზრის სიმართლეში დაგვეთანხმება.

დასკვნა. ისევე ძველი ჰეშმარიტება—ყოველი პიესა, ყოველი როლი ისე უნდა მომზადდეს, რომ ასასრულებელი ამსრულებელს შეესისხლხორცოს, ერთ სულ და ერთ ხორც შეიქმნეს... აქ გული და გონება, ჰკუა და ალღო, გრძნობა და შემეცნება, შინაგანობა და გარეგნობა შეთანხმებით უნდა მოქმედებდეს... ხელოვნურ განცდას მხოლოდ მაშინ თუ ვიგრძნობთ...

**იოსებ იმედაშვილი**

# იასე რაჭველი

1902 წელს გავიცანი იასე რაჭველი. თუმცა მისი ნაწერებიდან საკმაოთ ვიცნობდი, მაგრამ პირადათ არ მენახა, გვარიც კი არ ვიცოდი მისი: მართლა რაჭველი მეგონა. „ცნობის ფურცელში“ ვმუშაობდი მაშინ და, რადგან ეს გაზეთი იმ უკუღმართ დროს ყველა ქართულ გაზეთებზე უფრო პროგრესიულად ითვლებოდა, ამიტომ ყველა მოწინავე ქართველი იქ იყრიდა თავს. იასე რაჭველიც ახლად ჩამოსული იყო სტამბოლიდან, როცა ჩვენს რედაქციას ესტუმრა.

უნდა მართალი ვთქვა, ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ამ სადი გონების პატრონ ქართველის ნახვამ. იგი ყოველ ქართულ საქმეზე დინჯათ და მტკიცე რწმენით მსჯელობდა, გულით სურდა საქართველოს ეკონომიურად აღორძინება, რადგან მონობიდან გამოსავალ ერთ-ერთ გზად ხალხის ეკონომიურად გაძლიერებას აღიარებდა და ამისთვის მოუწოდებდა ყველას რაც შეიძლებოდა მალე გაებათ საქმიანი ქსელი ევროპასთან. ბუნებით გონიერსა და ნიჭიერს, ჩანს, ადრევე ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რას ნიშნავდა საქართველოს გამოჩინება ევროპის ბაზარზე. რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო ამას..

მე აქ არ შევეხები იასე რაჭველის მწერლობითს ნიჭს;—მწერალი დღევანდელ საქართველოში, თუ იგი მხოლოდ ხელოვანია და არა ვისიმე საჩანჩალო პაიკი, დიდათ არ ფასდება,—ვიტყვი მხოლოთ, რომ ბევრს მის მოთხრობას უზომო სიამოვნება უგრძნობინებია ჩემთვის.

იასე რაჭველი არც ერთს ქართულ საქმეს არ უვლიდა გვერდს, ყველგან იღებდა მონაწილეობას, ეხმარებოდა ღარიბ რედაქციებს და იმედოვნებდა, რომ საქართველო ფენიქსივით განახლებული წარსდგებოდა ევროპის წინაშე როგორც ნივთიერად, ისე სწავლით და მეცნიერებით მომზადებული.

ეს ღრმად სწამდა განსვენებულს!

და ეს მისი მრწამსი, თუ მთლად არა, რაოდენითმე მაინც აუსრულდა სიცოცხლეში...

ამ ერთის წლის წინათ ულმობელმა სიკვდილმა შესწყვიტა პატიოსან მამულიშვილის სიცოცხლის ძაფი, თუმცა მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო სამშობლოს საკეთილოდ...

მოხარული ვარ, რომ მის პატივისმცემლებს განუზრახავთ მისი ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს გამართვა! ჩვენი ვალია მივიდეთ ამ საღამოზე და თანაგრძნობა აღმოვუჩინოთ განსვენებულის ოჯახს, რომლის სახლის კარი მუდამ ღია იყო მაშვრალთა და ტვირთმძიმეთათვის.

**განდეგილი**

# წერილები თეატრზე

III

დიდ იმედებს ვამყარებდით სტუდიაზე, მაგრამ ჩვენ და საძწუხაროთ იმედები აბობოქრებულ ზღვის ტალღებში დაიმსხვრა; სტუდია დაიშალა, სტუდია როგორც სკოლა აღარ არსებობს. რა მიზეზია, რომ სკოლა, რომელიც ჩვენი ერის აყვავებისთვის, მით უმეტეს დღევანდელ მომენტში, დიდათ სასარგებლო და აუცილებელია, რამოდენიმე ხნის არსებობის შემდეგ დაიხურა? ამ კითხვაზე დიდი მასალა მოიპოვება, მაგრამ ჯერ არ არის დრო მისი ჟურნალში აღნუსხვისა. ვიტყვით მხოლოთ, რომ სტუდიის დაშლა მოხდა ჩვენში კარგათ ცნობილ ინტრიგის შემწეობით, რომლისგანაც ჩვენი ხელოვნების სხვადასხვა დარგს თავი ვერ დაუღწევია.

არ არის ერთი ქართული სცენა, რომ ინტრიგანობა და ქიშპობა არ იყოს, არ არის ერთი ხელოვნების დარგი, რომ ინტრიგანებს არ მოეცვათ, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუს კა ჯარში

მუსიკას ჯარში დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს ამ ომიანობის დროს, როდესაც ჯარს ხშირად უხდება მოგზაურობა. არის შემთხვევა, რამდენიმე ასი ვერსი უნდა გაიაროს ჯარმა, რომ თავის დანიშნულ ადგილას მივიდეს. ასეთი მდგომარეობა ძნელია და აუტანელი ჯარისათვის, მაგრამ შექმნილ მდგომარეობას იძულებულია ანგარიში გაუწიოს, და საქმის კეთილნაყოფიერებისათვის მძიმედ დატვირთული გზას გაუდგეს და იცით ჯარს ასეთ მდგომარეობას რა შეუმსუბუქებს? მუსიკა, სიმღერა. მუსიკას ჯარში აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მუსიკა გმირულ სულს ბადებს მეომარში. მუსიკა კეთილ გრძნობებს უღვივებს მეომარს და მისი სიმშვენიერით გატაცებულს ერთი დღის მოგზაურობა ერთ საათითაც არ ეჩვენება მრავალფეროვან აკორდების სმენა ჰკლავს მეომარში ყოველგვარ დაღლილობას და ჰმატებს ენერგიას და სწორედ ამისთვის არის მუსიკა დაუფასებელი ჯარში. ამას არამც თუ ახლა, ძველადაც უწევდენ ანგარიშს ჩვენი სახელოვანი წინაპრები თამარ მეფის სახელოვან ლაშქარში პირველი ადგილი ეჭირა მუსიკას მრავალგვარ სიმებიან საყვირ-საბერავ საკრავებით და სიმღერით ილხენდენ ლხინში და ებრძოდენ მტერს. მუსიკა ყოველგან და ყოველთვის ერთად ერთი მესაიდუმლე, და დაუფასებელი მეგობარია ჯარისათვის. ეს განათლებულმა ევროპამ კარგად შეიგნო და მუსიკას შეძლებისადაგვარათ ავრცელებს ჯარში, იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხ. მუსიკა და ლაშქრული სიმღერები სპეციალურად იწერება ჯარისათვის, ამას პოეტებიც ხელს უწყობენ, რომლებიც შესაფერ საომარ ლექსებს უძღვნიან ჯარს.

ჩვენს ჯარშიც კულტურულ-განმანათლებელ სექციისა და სამხედრო მუსიკის დირექტორის ყურადღება უნდა მიიქციოს მუსიკის როგორც ვოკალურმა ისე ინსტრუმენტალურმა მხარემ ამას მოითხოვს ჯარის ინტერესები.

ლადო გავაშელი

# მსახიობი

(ძღ. ვა—ძისას)

გრძნეულ ღელვაში გამოხატავს ყრუ მოდუმებას,
იქვით შეჰყურებს საყვარულით გამსჭვალულს გმირებს,
და მოხიბლულსა ამბორისას არ აძლევს ნებას,
რომ უფრო სევდა გაუდიდოს გმირს ანატირებს.

ხან შორს გასტორცნის მიჯნურისგან მოძღვნილსა ვარდებს,
ხან ზეცას მიჰფრენს, ვით მიმინო დაუდეგარი,
და თვის ოცნებას მძლავრს ყიჟინში იქ ანავარდებს,
რომ ცის წიაღში შემოსძახოს სიმღერა მძლავრი.

ხან კი მარტოა მწარე ცრემლით დასტირის წარსულს,
და ყრუ კვნესაში იგონიებს დამარხულს ედემს,
ხან გამოხატავს ყრუ კვნესაში იმედს დაკარგულს,
და სიყვარულის მოგონებას ტირილში ეძებს.

ხან ღმერთი არის ცის მფლობელი და მოსიამე,
ხან მდიდარია მომცინარე და მედიდური,
ხან მონა არის, სევდის ალი როგორც რომ ღამე,
ტანჯულს სახეზედ ენაკვთება ცრემლ-ანაცური.

შალვა ობოლი

# ალი ალა

(ამბავი ქართველ-მუსლიმანთა ცხოვრებიდან)

I

მაისის ერთ მშვენიერ დილას 1918 წ. როდესაც ოსმალნი უკვე გაბატონებულნი იყვნენ ბათომსა და ბათომის ოლქში, კახაბერის გზით ბათომისკენ მოემგზავრებოდა დატვირთული ურმით ალი ალა კაკაბაძე, რომელიც ქვემო აჭარის ერთი სოფლიდან იყო... ერთი შეხედვით ორმოცდაათი წლის იქნებოდა. იგი იჯდა ურმის კოფოზე და ზანტ კამეჩებს სახრის ცემით მიერეკებოდა... ნელი სიარულის ჟამს ალი ალას უნებლიედ გაახსენდა თავისი სიყმაწვილე, თავისი დედ-მამა, გაახსენდა სიყმაწვილის ჟამს მოსმენილი სიმღერები, რომელთაც ხშირად მღეროდა მისი მამა ახმედ ალა, იმ დროის მომენტზე, როდესაც ის იყო აჭარაში ხმლით და ძალადობით მუსლიმანობას ავრცელებდენ ოსმალნი... ბევრი რამ უამბნია მისთვის ღრმად მოხუცებულ ახმედ ალას, და მის მიერ ნაამბობმა კვალი გაავლო ოსმალის სულიერ ბუნებაში. მას ცოცხლად ახსოვს ცრემლთა მომგვრელი ამბები აჭარელთა ცხოვრებიდან.. ავონდება თვისი მამის საყვარელი სასიმღერო სიტყვებიც:

**„ვგმობ კაცსა უაგუოსა,**
**ცრუსა და ღალატიანსა“.**

მოიგონა სასიმღერო კილოც და ნაღვლიანად შემოსძახა სიმღერა... მას ნაღვლიან სიმღერას ხმა მოსცა მთაბარმა... გიჟმაჟი ჭოროხი, რომლის ღრიალით დაყრუებულია კახაბერის არე-მარე, თითქოს ბოხი ხმით ალი ალას სიმღერას ბანს ეუბნებოდა...

მართლაც, რაც აჭარა ოსმალებმა მოსწყვიტეს დედა-საქართველოს, ეს პატარა კუთხე ბრძოლის მოედანად გადაიქცა. მამაცი აჭარლები თავგამეტებით ებრძოდენ ოსმალო თათრებს, თავისუფლების დასაცავად... თუნდა რად ღირს ზენდიდის ციხის ამბავი: ამ ციხესთან შეერთებულია აჭარლების საოცარი სიმამაცის ბევრი მოთხრობა... აჭარლები თათრის ურდოებმა მართალია დაიმორჩილეს, მაგრამ არც იმ სახით, როგორც თვით ნებავდათ. მათ ერთგვარი თვითმართველობა შერჩათ... მათგან ჯარის-კაცები არ მიყავდათ... ამის მეოხებით ქართული ენა წმინდათ შენახული იქმნა აჭარაში... და დღეს ზემო-აჭარლის ტკბილი ქართული საუბრის მოსმენა სიამოვნებას განიჭებთ...

წარსულის მოგონებამ შორეულ დროებაში გადატყორცნა ალი ალას გონება. მოაგონდა გაგონილი ამბები თამარ მეფის შესახებ... ამ მეფეს ძლიერ ჰყვარებია აჭარა და წყალობის თვალით ყოფილა მასზე... აჭარის მკვიდრნი ერთგულნი იყვნენ თამარისა და საქართველოისა... აჭარლები დღესაც თაყვანს სცემენ სახელოვან დედოფალს.

— **ის, თამარი,** ისთევე გაჩნდებაო... გაცოცხლდებაო.. იტყოდა მამაჩემი ახმედ ალა,—სთქვა თავისთვის ალიმ. ევებ მაშინ მაინც გავხდეთ ბედნიერები..

— **„ვგმობ კაცსა უაგოსა, ცრუსა და ღალატიანსა“,**—კიდევ ნაღვლიანად შემოსძახა ახმედ ალამ...

II

— ცრუ და ღალატიანი სწორედ ჩვენ, აჭარლები, გამოვდევდით. ქართველ ქრისტიანებს ჩვენთვის სიკეთის მეტი არა უქნიათ რა. ხელზე რომ ერბო-კვერცხი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიხრაკოთ და თავზე წისქვილის ბორბალი დავიბრუნოთ, იმათ ამაგს მაინც ვერ გადვიხდით. ამას წინად აგვაოხრეს, აგვაწიოკეს რუსის ყაზახებმა, გაგვცარცვეს, და მარტო ქართველებმა გვიშველეს. ვაი, შე ოხერო ჩემო თავო, იმათ ულალატე... რაღად ხარ ცოცხალი—კრემლმორეულმა ალიმ თავში მუშტი დაირტყა.—მაგონდება ჩემი საცოდავი, ჩემი უბედური ფატიმე, ჩემი ლამაზი თვრამეტი წლის გასათხოვარი ასული,—და ის მხეცი... პირუტყვი ყაზახები... იგი რომ გააუპატიურეს... მერე დაჰკლეს ჩემ თვალთა წინ... მე გულწასული დავრჩი... რომ გამოვერკვიე, ქართველი ქრისტიანი იდგა ჩემს გვერდით... მას თურმე სიკვდილისაგან დავუხსნივარ... მაგრამ მე, შტერი, ფატიმეს შემდეგ ცოცხალი როგორღა ვარ?!.. დღეს კი ვის ვულალატეთ?—მათ, ვინც მაშინ ტიტვლებს ტანისამოსი ჩაგვაცვეს, მშივრებს საჭმელი მოგვცეს, უსახლკაროებს—სახლები აგვიშენეს, დაჭრილებს და სასიკვდილოდ გამზადებულებს ვექილები დაგვიქირავეს. ვის ვულალატეთ?!.. მათ, ვინც დიდი, დაუვიწყარი საქმე გვიყვეს... ოსმალოებს მათ წინააღმდეგ გვერდში ამოვუდექით... ძნელია ამ უმადურების, ამ სისაძაგლის გახსენება... მაგრამ ჩვენი ცოდვა სულზე ედება ჩვენს ხოჯას, რომელიც ქართველ ქრისტიანთა მტრობისკენ მიგვიწოდებდა.. აი იქ, ამ კახაბერის ციხის გვერდით თვალით ვნახე მკვდარი სწორედ ის ქართველი, რომელმაც მე სიკვდილს გადამარჩინა. ვინ იცის ჩემი კეთილისმყოფელი ჩემმა ტყვიამაც იმსხვერპლა?! ჩემი ცოდვა მიეცეს ჩვენს ხოჯას... ზოგიერთნი ამბობენ, რომ თათრები დიდ ხანს ვერ იბოგინებენ ბათომში... როგორც მოვიდნენ, ისე წავლენო: ისინი, რა ვქნა, ძმურად არა მწამს... კიდეც რო წავწყდე, სიმართლეს ვიტყვი... მაშ, წავიდნენ, გაგვშორდნენ!!

ასე მსჯელობდა თავის თავის წინაშე ალი ალა... კვლავ, კარგი ხნის სიჩუმის შემდეგ, დასძახა:

„ვგმობ კაცსა უაუგოსა,
ცრუსა და ღალატიანსა!“

— ნეტავი ვიცოდე, ცოცხალია ამის მთქმელი თუ მკვდარი! თუ ცოცხალია ტუჩებს ამოვუკოცნი, შუბლზე ვეამბორები ასე ლამაზად თქმული სიტყვებისათვის. თუ მკვდარია, მის სამარეს მუხლმოდრეკით ვეამბორები.—სთქვა ეს და გადაჰკრა სახრე კამეჩებს, რომელთაც ცემა ემწვავეათ და, უკმაყოფილების ნიშნად, კუდების გრეხა დაიწყეს.

III

— ამ ვაშლს მაინც კაი ფასებში გავყიდი. თხილიც თურმე ბაზარზე ძვირად ფასობს. ჩემს სულელს საკაბეს ვუყიდი: ტიტველი დამიდის. პაწია ომარას ქალამანს ვუყიდი... ჩემთვის და ცოლისთვისაც ვიყიდი რამე... როგორ ვმალავდი თხილს და ვაშლს!? როგორ ენატრებოდათ ბალღებს ხილი, მაგრამ გაჭირვებისთვის ვინახავდი... რომ შეეჭამათ, დღეს აღარ მექნებოდა და ბაზარზე გასაყიდათ ველარ წამოვიღებდი. იმ ჩემ პატარა ხასანას ქართულ სკოლაში უნდა ვასწავლო: არ ვარგა ისე ლენჩად დარჩენა, როგორც მე ვარ... ისწავლოს რამე, გაიგოს ქვეყნის ამბები, გამოვიდეს ეფენდად.. ხოჯა იმასაც კი გვეუბნებოდა: რად გინდა გურჯული სკოლაო. აგი რავა შეიძლება?! დედა-ენა ჩემი გურჯულია, და სწორედ ცოდნის შეძენა ამ ენით უფრო უპრიანია!.. ქრისტიანები—გიაურებიაო აგიც არ მჯერა... ღმერთმა გააჩინა ადამიანები და ყველანი მის წინ თანასწორნი არიან... პატიოსანი ადამიანები ყველა სჯულში პოიპოებიან... ბევრს გვატყუებენ, ბევრს განძრახ გვიმალვენ ვითომ ნასწავლი ხოჯები... ისწავლა უპირმა კაცმა ორიოდე ლოცვის ბურტყუნიო და ხოჯად აირჩიეს. აგი არ კმარა!! აი ახმედ ეფენდი რომ არის, ის კაი ხოჯაა. ღვთისნიერია. სიბოროტეს არ ჰქადაგობს.

IV

— ქემალ! არა გაქვს ჯიბეში მოხარშული სიმინდი?! მაჭამე თუ გაქვს: ფერდი ფერდზე მაქვს მიკრული შიმშილითა...

— ოსმან! მაქვს ძლიერ ცოტა: მოდი, გაჭმევ... რაღაც გვივიწყებენ ჩვენი უფროსები, თითქოს ჩვენც ადამიანები არ ვიყოთ: საჭმელს არ გვაძლევენ და სამსახურს კი გვავალებენ!—მიუგო ქემალმა.

— ასკერის ბედი ასეთი ყოფილა!! ნუთუ შემდეგშიც ასე უნდა იყოს?!.. რაც ოსმალო გაჩენილა, მას უკან ომებშია ჩაბმული, და სულ უკან და უკან მიდის მისი საქმე.

— უჰ! რა მშივა?! ნეტავი წავაწყდებოდეთ რასმეს... ულვთო ვიყო, თუ დავზოგო, ვინც შემხვდება. თვით ადამიანის ლეშსაც არ დავზოგავ. აი აგერ, ვიღაც დატვირთული ურმით მოდის. სჩანს ტუტუცი გურჯი-მუსლიმანია—სთქვა ქემალმა.

— ტუტუცი რომ არ იყოს, მაშ იმას ჩაიდენდა, რაც ჩაიდინა?! თავის ძმებს ულალატა... მეზიზღებიან გურჯი-მუსლიმანები, სწორედ რომ არ არიან ჩემი ძმები! სხვა სისხლი, სხვა გვარი, სხვა სახე, სხვა ადათი...

ასე მუსაიფობდენ კახაბერის გზაზე დაყენებული დარაჯი ასკერები.

— შეჩერდი... შესძახეს ასკერებმა ალი ალას. მივარდნენ ურემს და გადმოალაგეს მისი თხილი და ვაშლი. შემდეგ გზა დაულოცეს და უკან გაბრუნება უბრძანეს.

— ულვთოებო! რას ჩადიხართ?! შესძახა გულამოსკვნით გამწარებულმა ალი ალამ.

— გურჯი ქეფ...ლლი... შე, ძაღ...შვილო! შეუტიეს ასკერებმა და თოფის კონდახებით ზურგში ცემა დაუწყეს.

ალი ალა თითქოს მორბილდა... გადმოვიდა ურმიდან, დაიჩოქა ასკერების წინაშე და ხელაპყრობით თხოვა მათ:

— გთხოვთ თოფის კონდახი შუაგულ თავში, რაც ძალი და ღონე გაქვთ, ისე დამცხოთ.

ასკერებმა სიცილი დაიწყეს.

— სულელი გურჯი, სულელი გურჯი!

— მე კიდევ გთხოვთ შუაგულ ტვინში ჩამცხოთ კონდახი... იმიტომ, რომ მაგ ტვინის შეუგნებლობის, მაგ ტვინის სიგონჯის ბრალია, რომ ჩვენ აჭარლებმა ჩვენს ძმებს ქართველ-ქრისტიანებს გულალატეთ და მტარვალები აქ, ამ ადგილს, გავაბატონეთ... გთხოვთ, ამ თავში დამცხოთ!—ამბობდა ალიალა და გამეტებული სიძლიერით თავისვე მუშტებს თავში იცემდა...

ასკერები იცინოდენ...

გულგახეთქილი ალი ალა უკან გაბრუნდა თვალცრემლიანი... ცალიერ-ტარიელი... ეს მისი ცრემლი, დამწვარი გულიდამ გადმოხეთქილი, ქართული მუსლიმანების საუკეთესო ბედის ცისკრის ვარსკვლავია... მეტი დაფიქრება, მეტი ცრემლი, მეტი სინანული... და ქართველი მუსლიმანი ნახავს თვისი ბედნიერების გზას საქართველოსთან შეერთებით.

— სადა ხართ, ჩვენო ძმებო! ჩვენო ქირისუფლებო, ქართველებო! შეგვინდეთ ჩვენი უგუნური ღალატი... მოდით და გვიხსენით მტარვალთა მონობიდამ... ისევ თქვენ, ჩვენო ლვიძლო და საყვარელო ძმებო!

იძახდა აღელვებული ალი ალა, როდესაც თვისი სახლის ეზოში შევიდა...

დღეს რაღას ფიქრობს ალი ალა ინგლისელების ბატონობის ქვეშ, ამის შესახებ ჯერ არა ვიცით რა.

**ილია ფერაძე**

# ჩვენი ხმა

ჩვენ, როგორც საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში სახალხო სცენის მსახურთ, დიდათ გვამხნევებს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს მოწოდება სახალხო თეატრის ცენტრის დაარსების შესახებ. ვუერთებთ რა ჩვენ ხმას პატივცემული „ქიათურელი მოქეთეს“ და „პარმანი“-ს მოწოდებებს, ვიმედოვნებთ. რომ სულ ახლო მომავალში ხელოვნების მოამაგე მასწავლებლების ინიციატივით, მოწვეულ იქნება სახალხო სცენის მსახურთა კონგრესი, შეიქნება ძლიერი ცენტრი, რომელიც სათანადო სიმაღლეზე დააყენებს სახალხო თეატრს, გაუწევს მას შესაფერ ხელმძღვანელობას და მით გაუხსნის ფართე სამოქმედო ასპარეზს ხალხს კულტურულად აღორძინების სფეროში.

სახალხო თეატრი—სახალხო სცენა, ხელოვნების ის დარგია, რომელიც პირველს როლს თამაშობს დღევანდელ ცხოვრებაში ხალხის და განსაკუთრებით სოფლის მშრომელ მასის კულტურული, გონებრივი და სულიერი აღზრდა-განვითარების საქმეში. მაშ გაუმარჯოს მას და მის ხელმძღვანელთ!

თეკლათის თემიდან: **ქრისტინა თევზაია, ი. ცივისპირელი, ვალ. წერეთელი.**

# ქართული სამუდამო თეატრის დაარსების ისტორიის მასალები

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 17)

როგორც მწერლობამ მოიცა გული, ჟურნალ-გაზეთობამ ჩაიდგა სული და საზოგადო შინაარსის მქონი წერილების წერა გაჩაღდა, ისევე გაჩაღდა ქართული თეატრის კითხვების საქმე, სკოლების დახსნის, ქართული წიგნების გამოცემის, ქართული წიგნის მაღაზიების დახსნის, ქართველთა შორის „წერა კითხვის საქართველოს“ დაარსების წადილები და ბევრიც სხვა ასეთნი, რასაც თბილისის და ქუთაისის ქართველ თავად-აზნაურთა ბანკების არსებობაც და მოქმედებაც უწყობდა ხელს. აქ ასეთ ძალუმ საქმეთა შესახებ ჩვენ სათითაოდ არ ვილაპარაკებთ, მათ თავ-თავის ალაგი აქვსთ; აქ ჩვენ ავიღებთ მარტოდ ქართული თეატრის ისტორიის შექმნის, აღორძინებისა და განვითარების საქმეს, რაიც ცხადია: მას არ ექმნება უმნიშვნელო კერძო ღირსება, რადგანაც ყოველს ჩვენს წარმატებას უსათუოდ ექმნება თავის წარსული, მას ეყოლება ამ წარსულის წარმომადგენნი. ამიტომ არ იქნება მეტი ავნუსხოთ ის პირობებიც, თუ ქართულ თეატრის აღორძინების საქმეს როგორ ჩაუდგა თვისი სულის ძლიერება 1870 წლების შემდეგიდან.

როგორც ვსთქვით, 1870 წ. შემდეგ ქართულ მწერლობაში უკვე გაჩაღდა კითხვები მუდმივ ქართული თეატრის დაარსების შესახებ. ამ კითხვების დროს, თბილისში და საქართველოს სხვა კუთხეებში ხშირად თუ არა ხანდისხან მაინც მოყვარენი თითო რამ წარმოდგენას მართავდენ. მალე მოვიდა ის წელიც, რომ თბილისში უკვე დაარსდა პატარა წრე, რომელთაც უნდა ემეცადინა ქართულის მუდმივი სცენის დაარსების სასარგებლოდ. ამ დროს თბილისში, სხვათა შორის, სცხოვრობდა ივანე რევაზის ძე ვაჩნაძე, რომლის ცნობაც იმ დროის ქართულ საზოგადო საქმეთა ასპარეზზე ყველას ჰქონდა და რომელიც თავის დროის კვალად ირიცხებოდა ერთგულ შემატკივარ ადამიანად, ქართველი ერის აღორძინების დიდს მონატრედ



**ივანე რევაზის ძე ვაჩნაძე**
(ახო)

მწერალი (ავტორი ,,კაცი ვარ და ქუდი მხურავს-''ის და სხ.) ქართული თეატრის ერთი ძველი მუშაკთაგანი, დამწერი ,,ქართული ჰიმნისა'', რომელიც ამ დღეებში ცალკე გამოვიდა

ამ პირის მიმართულებას რამდენათაც ქართველი ერის რომელიმე საქმის აღორძინების ნატვრა ჰფლობდა, ასეთ ნატვრაზე არა ნაკლებ მას ესმოდა ქართველი ერის გაღვიძების საქმე და მის სულის ჩადგმა. მისის მცნებით ეს იყო ქართული თეატრი, თბილისში სამუდამო ქართული სცენის დაარსება. ეს მიაჩნდა უმთავრეს ნატვრად, იგი ამისთვისაც სცდილობდა და შრომობდა. მაშ ახლა მიუბრუნდებით მის შრომის და მეცადინეობის ანუსხვას, რასაც თავის დროის კვალად აქვს საზოგადოებრივი ხასიათი.

(გაგძელნბა შემდეგ ნომერში)

**ზ. ჭიჭინაძე**



მსახიობი გერმანოვისა



მგოსანი
იოსებ გრიშაშვილი



მ. დ'არიალი — ნანობაშვილი

შარჟები თამარ თავაძისა



მსახიობი გერმანოვისა—გრუშენკას როლში

ნახატი ელი ახვლედიანისა.



იასე რაჭველი

ხუთშაბათს, ივნისის 24 მისი ხსოვნის საღამოა მუშათა ცენტრ. კლუბში. იხ. ამავე ნომერში განდეგილის წერილი „იასე რაჭველი“

## ალ. შანშიაშვილი სხვადასხვა როლში.



მეფე ლირი



ფრანც მოორი



ურიელ აკოსტა



სოლეიმან ხანი



**თავისუფლების ორი წლის თავი**

თბილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ავტომობილი,---გაერთიანებულ საქართველოს სიმბოლო,— მაისის 26. მოწყობილ—შედგენილია ალ. ბადრიძის (*) მიერ. შუაზე ახალგაზრდა ქართველი, ირგვლივ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელნი. ძირს გართხმულია ბოლშევიზმის მიმდევარი „გაწითლებული" ისლამელი.

# დაბრუნებული დედა

ერთ მოქმედებად

**მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:**

| | |
|---|---|
| **ი რ ა კ ლ ი** | |
| **ნ უ ნ უ**—ირაკლის მეუღლე | |
| **გ ი ვ ი** | ამათი შვილები |
| **ნ ი ც ა** | |
| **მ ა რ თ ა** | |

**პირველი მოქმედება.**

(საშუალოდ მორთული ოთახი, ორი კარებით ნიცას აკვანში სძინავს. მართა ოთახს ალაგებს)

**მართა.** (ფეხ-აკრებით მიდის, რომ ნიცა არ გაალვიძოს).

**ნიცა.** (აკვანში ატირდება).

**მარ.** (დაბრუნდება და ძუძუს აწოვებს). ი, დედა-ღვთისა ასატებმა, მარგალიტსავით ბავშვს თავი როგორ დაგანება?!! ნუ ტირი ჩემო ნიცა!.. (აკვანს არწევს და თან „იავნანას" უმღერის. ნიცას რომ დააძინებს, წასვლას დააპირებს, ამ დროს ნელის ნაბიჯით კარებში გამოჩნდება ნუნუ, რომელსაც მართა ვერა სცნობს).

**ნუნუ** მაპატიე, რომ ქურდულად შემოვიპარე... ხომ არ მიწყრები?..

**მარ.** სრულიადაც არა, თქვენ ნუ მომიკვდებით... მობრძანდით!..

**ნუნუ.** გამარჯობა, მართა!..

**მარ.** ბოდიშს კი ვიხდი, გენაცვალეთ .. მაგრამ...

**ნუნუ.** ვერა მცნობ, არა!..

**მარ.** ქა, ნუნუ!.. (მოეხვევა. ტირიან).

**ნუნუ.** მე ის ნუნუ აღარ ვარ, ჩემო მართა!..

**მარ.** როგორ გამხდარხართ! გეტყობათ, ოჯახზე გიდარდნიათ!..

**ნუნუ.** მაშ, რა კეთილი დამეყრებოდა?..

**მარ.** (თავს აქნევს).

**ნუნუ.** არ გიკვირს, როგორ შემოვბედე?..

**მარ.** ღვთის-მშობლის მადლმა, თავი სიზმარში მგონია!..

**ნუნუ.** (ნაღვლიანათ ათვალიერებს ოთახს).

**მარ.** ხედავთ, აქაურობას უთქვენობა როგორ ეტყობა!..

**ნუნუ.** (ისტერიულ ტირილი აუვარდება).

**მარ.** (წყალს შეასმევს და ამშვიდებს) დამშვიდდით, დამშვიდდით!..

**ნუნუ.** (ცრემლების დენით) ოხ, მართა! ოთხი თვე —ოთხი-ათასად გადამექცა... ყოველ დღე გული შხამ-ბალღამით მევსებოდა... ჩემი სინდისი მე თვითონ მაწუხებდა... დღისით არ ვიყავ მოსვენებაში, ღამით კიდევ გივი და ნიცა სიზმარში მელანდებოდენ... თუ შებრალება გაქვს ჩემისთანა ადამიანებისა, მითხარი, გამაგებინე, გივი და ნიცა სად არიან?..

**მარ.** გივი სკოლაში გახლავთ. ნიცას კი აგერ სძინავს...

**ნუნუ.** (ნელის ნაბიჯებით მიუახლოვდება აკვანს. მოწიწებით ზევიდან დასცქერის ნიცას და თვალები ცრემლებით ევსება). არ, შემიძლიან გესმის მართა!.. უამისოდ დავდნი, დავჭლექდი!..

**მარ.** თქვენი ბრალია! რათ დაანებეთ თავი?

**ნუნუ.** შენ მართალი ხარ! დამნაშავე ვარ!.. მე საზიზღარი დედა ვარ, მაგრამ...

**მარ.** თქვენ ეხლაც შეგიძლიანთ, თუ მოინდომებთ, შვილებს დაუბრუნდეთ...

**ნუნუ.** შემიძლიან კი?!. განა, ირაკლი ნებას მომცემს?

**მარ.** რატომ! ის რომ ბავშვების საცოდაობას ხედავს, მგონი უარს არ გეტყვით.

**ნუნუ.** (მოეხვევა) ოხ, მართა!.. დამეხმარე, ბოდიში მომხადე ირაკლისთან, შემარიგე და მთელი ჩემი სიცოცხლით შენი მოვალე ვიქნები!

**მარ.** ნეტავ მართლა შერიგდეთ და ვინ გულმკვდარს არ გაუხარდება.. ვეცდები თქვენ გენაცვალეთ!.

**ნუნუ.** ვიმეორებ, დამნაშავე ვარ მეთქი! მაგრამ ამავე დროს დედაცა ვარ... გული მიკვნესის... უამათოდ მწარე იყო ჩემი სიცოცხლის წუთები... დღეს გადავწყვიტე, როგორმე მენახა ჩემი შვილები და ერთხელ კიდევ გულში ჩამეკრა. (ნიცას პირზედ გადახდის და მოწიწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბით ჰკოცნის) ერთი ძიძხარი ჩემო მართა!.. ვინ აწოვებს ძუძუს, ვინ მიზდის მე ცოდვიან დედას შვილებს?..

**მარ.** მე.

**ნუნუ.** გმადლობთ ჩემო მართა, და თუ კიდევ ადამიანობა შემრჩენია გადაგიხდი ამ პატივისცემას...

**მარ.** ყოველი დედა მოვალეა უდედო ბავშვებს დედობა გაუწიოს...

**ნუნუ.** მე მაინც, შენი მოვალე ვარ...

**მარ.** შვილები იქნებიან ჩემი მოვალენი. თქვენ რომ ჩემთვის დაგეკისრებინათ ამათი მოვლა, იქნება არც დათანხმებულიყავით, რადგანაც...

**ნუნუ.** შენ მართალი ხარ. მე, როცა აქედან მივდიოდი არავისგან არ ვიყავი შესაბრალისი!.. (ტირის. სიჩუმე).

**მარ.** ირაკლი და გივი, საცაა მოვლენ. თქვენ, აქ დახვდებით?!..

**ნუნუ.** შენ დამარიგე, როგორ მოვიქცე! დავრჩე-თუ არა?..

**მარ.** დარჩით!..

**ნუნუ.** რომ არ მიმიღოს!..

**მარ.** ეხლა, მართლა მებრალებით!..

**ნუნუ.** მაშინ, რაღა დამრჩენია?!.. ადიდებულ მღვრიე მტკვარს მივეცემი ჩემი მღვრიე წარსულით და ისე მაინც მოვინანიებ ჩემს ცოდოს...

**მარ.** რათა, რათ გაჰყევით იმ უსირცხვო ყმაწვილს... რამ შეგაცდინათ?..

**ნუნუ.** მე თვითონვე არ ვიცი, რათ მომივიდა, მაგრამ... ძვირფასო მართა, წარსულს ნულარ გამახსენებ... ეხლა მინდა ჩემს ოჯახს, ჩემს ქმარშვილს დაუბრუნდე, თუ შესაძლე... (ისმის ზარის წკარუნი. ორთავენი შეკრთებიან).

**მარ.** ისინი არიან!

**ნუნუ.** ღმერთო, როგორ მოვიქცე?!..

**მარ.** იქით ოთახში გაბრძანდით!

**ნუნუ.** მე შერცხვენილი როგორ დავენახო ირაკლის!.. (ოთახში გადის).

შემოდის ირაკლი და გივი. ირაკლის ხელში სადილი უჭირავს, გივის—წიგნები.

**ირაკლი.** დღეს ცოტა დაგვაგვიანდა და ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ დიდხანი გაცდეინეთ.

**მარ.** არა! მე კიდევ, მგონია, ადრე მობრძანდით...

**ირაკ.** შვილო, წიგნები მაგიდაზე დააწყე ხელები გადიბანე და ვისადილოთ.. (სუფრასშლის. მარია ეშველება.)

**გივი.** (წიგნებს აწყობს და კარზე გადის.)

**ირაკ.** (მართას) თქვენ, ნუ სწუხდებით! მე თვითონ გავშლი სუფრას...

**მარ.** (პატარა მიდგება-მოდგება და ნუნუსთან გავა.)

**ირაკ.** (ნუნუ გახსენდება და ღრმადამოიოხრებს.)

**გივი** (შემოდის და მაგიდასთან მოთავსდება.)

**ირაკ.** მოიცადე, შვილო, და მეც ეხლავე მოვალ. (გადის და მალევე სველი ხელებით ბრუნდება. პირსახოცს ეძებს, მაგრამ ვერ იპოვის. ხელსაწმენდს ამოიღებს და იმითი იმშრალებს ხელებს.) შვილო, ხელები რაზე შეიწმინდე?..

**გივი** ხალათზე!

**ირაკ.** (ამოიოხრებს, თითქოს იძახის: პირუტყვებისავით ვცხოვრობთო")

**გივი** **ირაკ.** (დიდხანს ჩუმად სადილობენ. ირაკლი გივის ეშველება, საჭმლის ალებაში, ხორცის დაჭრაში და სხვა რამეში.)

**გივი** მამა!

**ირაკ.** რაგინდა შვილო?!

**გივი** ხალათი დამეხა და ვინ დამიკერებს!

**ირაკ.** სადილი გავათავოდ და მე თვითონ დაგიკერებ!.. (პაუზა.)

**გივ.** მამა! აქამდინ დედა სად არის, რომ არ მოდის სახლში?..

**ირაკ** დედა, სტუმრად სხვაგან არის!

**გივ.** მერე და ამდენიხანი სულ სტუმრად არის?.

**ირაკ.** მერე რა არის?.. მალე მოვა შვილო!

**გივ.** (გახარებული) მართლა! ნეტავი მალე მოვიდეს! ისეთი მინდა დედას ნახვა, რომ...

**ირაკ.** წადი, მართას დაუძახე შვილო...

(თვითონ უძახის.) მართა, მართა!..

**მარ.** (ოთახიდან) რას მიბრძანებთ?! (შემოდის)

**ირაკ.** მობრძანდით ისადილეთ!..

**მარ.** მე უკვე სახლში გიახელით! გმადლობთ!.

**ირაკ.** თუ არ გისადილიათ, ნუ მომეხათრებით.

**მარ.** შვილები არ დამეხოცოს ვისადილე!.

**ირაკ.** ნიცას, თუ ძუძუ მოაწუეთ მიპრძანდით!. ეხლა თქვენ სახლს მიხედეთ, მე არსად მივდივარ...

**მარ.** მაშ მშიერს ხომ არ გაუშვებდი ჩემს ნიცას, ვენაცვალე. (სახურავს უსწორებს გივი ეზოს კარებით გავა.)

**ირაკ.** ოხ, რა მადლობელივარ, რომ ასე თანაგრძობით ეკიდებით ჩემ ობოლ შვილებ!

**მარ.** რატომაც არა! ისე მიყვარან, როგორც ჩემი შვილები!

**ირაკ.** თუ ადამიანი ვარ პატივისცემას გადაგიხდით. ღმერთი მოწყალეა!

**მარ.** აბა, რასა ბრძანებთ ეგ, სულ მეტია! გინდ ჩემი შვილებისთვის მომივლია, გინდ გივი და ნიცასათვის.

**ირაკ.** ოხ, თქვენ ნამდვილი ადამიანი ხართ! ნუ თუ მე შევძლებ თქვენი სიკეთის გადახდას!

**მარ.** ოღონდ, მაგას ნუ ბრძანებთ!.

**ირაკ.** მართლა, თქვენ შვილებს რომ ქაღალდი და საკითხი წიგნები დავპირდი მოუტანე.. (შკაფიდან იღებს)

**მარ.** თქვენი თავი უცოცხლოს ღმერთმა!

**ირაკ.** მცირედ საჩუჩარზე ნურას უკაცრავად ჩემო მართა...

**მარ.** რასაბძანებთ! დიდი მადლობელი ვარ...

**ირაკ.** (აძლევს) ამას, რომ გაათავებენ, კიდევ მოუტან! მხოლოდ იბეჯითონ და ამისთანა საჩუქრებს არ მოვაკლებ!..

**მარ.** გმადლობთ! გმადლობთ!

**ირაკ.** გული, რომ მქონდეს თქვენ შვილებს მე ვამეცადინებდი, მაგრამ საუბედუროდ, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ... იმ დღიდან, რაც ჩემი ნუნუ სახლიდან წავიდა და მარტო დამტოვა, აღარაფერი გამეგებარა...

**მარ.** ზეციერ მამასა ვთხოვ, თქვენი ტბილი ოჯახის დარღვევისთვის, იმ ცინგლიან სტუდენტსაც დაერღვეს სიცოცხლე! არ ენახოს კარგი და კეთილი!..

**გივ.** (შემოდის და ირაკლისთან ჯდება).

**ირაკ.** (დაღონებული ზის).

**მარ.** (გივისთან ველარაფერს იძახის და თავის ქნევით გადის).

**გივ.** მამა, რათა ხარ დაღონებული?

**ირაკ.** არა ვარ დაღონებული! (ჰკოცნის).

**გივ.** პირობას რატომ არ ასრულებ?..

**ირაკ.** რა პირობას?

**გივ.** ხომ მითხარი, ხალათს დაგიკერებო?

**ირაკ.** მართლა! (უკერებს).

**გივ.** (სიცილით) შენ, დედა ხომ არა ხარ, რომ დაკერება გისწავლია!..

**ირაკ.** (ამოიოხრებს).

**გივ.** იცი, მამა! სიზმარში დედა ვნახე!..

**ირაკ.** მერე, რა გითხრა?

**გივ.** ისეთი მკოცნიდა, ისეთი მკოცნიდა, რომ სულ ცრემლები ჩამოსდიოდა. მერე ვიღაც ბებერი კაცი მოვიდა და ერთი დიდი თაიგული მომცა... სულ წითელი ვარდები იყო...

**ირაკ.** (ოხრავს და თავს აქნევს, თითქოს იძახის: „საწყალო შვილო, ვეღარ ეღირსები დედის ალერსს“...).

**გივ.** მამა! რადა ხარ გაჩუმებული?..

**ირაკ.** ხომ არ ვითამაშებ და ვიყვირებ?..

**გივ.** დედა, რომ აქ იყო მღეროდი ხოლმე. დედას წასვლის შემდეგ ერთხელ აღარ გიმღერია!

**ირაკ.** შენ ეს მითხარი, დღეს რა ლექსი ისწავლე?..

**გივ.** მართლა! კლასში შიო მღვიმელის „ობოლი“ წავიკითხე და მასწავლებელმა ძალიან მომიწონა!

**ირაკ.** ყოჩაღ შვილო! შემდეგ განყოფილებაში რომ გადახვალ, დიდ ცხენს გიყიდი.

**გივ.** რათ მინდა ცხენი. პატარა ხომ აღარა ვარ!

**ირაკ.** მაშ, რა გინდა?..

**გივ.** მე, რაც მინდა-შემისრულებ, მამა?!

**ირაკ.** სთქვი შვილო!..

**გივ.** მესამე განყოფილებაში რომ გადავალ დედასთან წამიყვანე!..

**ირაკ.** (თავს ცუდათ იგრძნობს) კარგი... აბა, ეხლა შიო მღვიმელის ლექსი ზეპირად წაიკითხე.

**გივ.** (კითხულობს „ობოლს“. ირაკლის თვალზედ ცრემლები მოადგება და, რომ გივიმ არ შენიშნოს პირს იბრუნებს. ჯიბიდან ამოიღებს რამდენიმე მანეთს და გივის აძლევს).

**ირაკ.** ყოჩაღ შვილო! ამით კაკლები იყიდე და ლეოსთან ითამაშე...

**გივ.** (გამოართმევს და გარბის).

**ირაკ.** (ცოტა ხანს ჩაფიქრდება. შემდეგ ამოიღებს ჯიბიდან გაზეთს და ჰკითხულობს... ამ დროს მოისმის საიდანგაც მეტად მომხიბვლელი სიმღერა შემდეგის სიტყვებით:

„ისე წახველ, რომ არ მნახე.
ისე უცბად მოჰკალ გული;
სევდა-დარდით გივაგლახე,
დავდივარ გზა დაკარგული...
შენ წასვლასთან ვაჰქრა შვება...
მოკვდა რწმენა, დასჭკნდა ვარდი...
თვალზე ცრემლი არ მაშრება.
ოხ, ნეტავ რად შემიყვარდი!...

(ირაკლი სიმღერის დროს ტანჯვას განიცდის. შემოდის მართა. სიმღერა ბოლომდისინ გრძელდება).

**მარ.** ნიცამ ხომ არ გაიღვიძა?

**ირაკ.** არა, ძვირფასო ადამიანო. ჩემ საყვარელ ნიცას აკვანში სძინავს, მხოლოდ მოისმინე საუცხოვო სიმღერა, რომელიც მათრობს და თანაც მაფხიზლებს!.. (ორთავენი უსმენენ).

**მარ.** რა გულსაკლავ სიტყვებს იძახის.

**ირაკ.** თითქოს, ჩემ გატანჯულ ცხოვრების დღიურიდან ამოიმღეროდეს... თითქოს მე ვმღეროდე არა?!

**მარ.** (სიბრალულით) დიახ!..

**ირაკ.** (კედელზე სურათს დააცქერდება) ოხ, ნუნუ, ნუნუ! რა მიყავი?.. რა ცეცხლში ჩამაგდე? ვისზე გამცვალე?.. ნეტავ ასე გაგიჟებით არ მყვარებოდე, ეხლა მაინც არ მიყვარდე!...

**მარ.** უეჭველია, ნუნუსაც ისევ ეყვარებით!

**ირაკ.** არა! იმას ეხლა აღარ უყვარვარ! ოდესღაც კი მეც, ჩემს ნუნუს უყვარდი. (იცრემლება).

**მარ.** (მოკრძალებით) ნება მიბოძეთ, ერთი რამ შეგეკითხოთ!..

**ირაკ.** (დაბნეულად) ჰა .. ბრძანეთ!..

**მარ.** ნუნუ რომ გიახლოთ და პატიება გთხოვოთ... მიიღებთ, თუ არა?.

**ირაკ.** ოხ, კეთილო მართა! თქვენ კიდევ ჩემთვისა ზრუნავთ! ათასჯერ-ათიათასჯერ მადლობელი ვარ!

**მარ.** მიიღებთ?.. (პაუზა).

**ირაკ.** სულში ქურდულად შემოჭრილმა სიმღერამ ჩემი ტკბილი წარსულის ფურცლები გადამიშალა და თანაც მარტოობაა მაგრძნობინა, რომ ერთი ვარ!.. მარტო ვარ და აღარა მყავს ჩემი საყვარელი ნუნუ!..

**მარ.** მაშ, შეურიგდებით, რომ..

**ირაკ.** თუმცა ისეთ ძნელს რამეს მეკითხებით, რომლის გადაწყვეტაც და პასუხიც ძნელია, მაგრამ... გეფიცებით ორი შვილის მზეს... აი, ეხლა, რომ შემოაღოს კარები ჩემმა ძვირფასმა ნუნუმ ყველაფერს ვაპატიებდი... ვაპატიებდი არა, როგორც დედას, არამედ, როგორც ქალს, მაგრამ სად არის სადა?.. (ხელცახოცით იცრემლება. ამ დროს ტირილითვე შემოვა ნუნუ და ცოდვიანივით კარებთან გაჩერდება. ირაკლი ვერა ჰხედავს. ნუნუ ირაკლის ლაპარაკის დროს თვალებს ვერ უშტერებს) და თუ... (ნუნუს რომ დაინახავს ქანდაკებას დაემგსავსება).

**ნუნუ.** (მოწიწებით) მა...პატიე... რომ .. აქა ვარ. .

**ირაკ.** (განცვიფრებული) ნუნუ! შენა ხარ?..

**ნუნუ.** (თავს უქნევს) მე ვარ... და მე ცოდვიან დედას ერთი თხოვნა მაქვს შენთან...

**ირაკ.** არა მჯერა!..

**ნუნუ.** დაიჯერე. ნება მომეც მე უბედურმა დედამ უკანასკნელად გადავკოცნო ჩემი შვილები გივი და ნიცა. და შემდეგ ისევ წავალ... აქ არ დავრჩები...

**ირაკ.** | (გაექანება და მოეხვევა) ნუნუ!
**ნუნუ.** | ირაკლი!..

**მარ.** ღმერთო, შენ მფარველობდე!.. (სიმღერა იცვლება. მოისმის დუეტი: „ისევ შენ და ისევ შენ, ჩემო ტურფა ლამაზო“...)

**გივ.** (გარედან) მამა! სიზმარი, სიზმარი!.. (ვარდებით შემოვარდება) აი, ვარდები! წითელი ვარდები!.. (დედას, რომ დაინახავს, სიხარულისაგან ატირდება. ნუნუ გულში ჩაიკრავს).

**ნუნუ.** ჩემო, გივი!.. (სიმღერა ისევ მოისმის )

**კ. რატიშვილი**

**ფარდა ეშვება**

ეროვნული
ბიბლიოთეკა





**მღ. მაქსიმე გიორგის-ძე ხუციშვილი**

სამშობლოს საკეთილდღეოდ ოსმალთა ტყვეობაში ტანჯული მოძღვარი, ს. ერკოთას მღვდელი, რომელმაც 1918 წ. მაისში ახალციხეში მომწყვდეულ ქართველ მეციხოვანთა დასახმარებლად დიდი შეურაცყოფა და წამება გადიტანა და მაინც, საცა საჭირო იყო, აცნობა ჩვენი ჯარის მდგომარეობა. მისს თავგადასავალს, მისგანვე აღწერილს, შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

# სული მოუსვენარი

**(ნოე ჩხიკვაძის** კუბოსთან წარმოთქმული **დიდუბეში, მაისის 30)**

ძვირფასო ნოე!

დაუჯერებელ ამბის მოწამე ვარ: შენ აღარ გვყევხარ, შენ კუბოში წევხარ, — ბაგე არ მემორჩილება შენი სიკვდილი ვსთქვა... მაგრამ სინამდვილე გულს მიწურთავს...

ნება მომეცი, „თეატრი და ცხოვრება-“ს ერთო საუკეთესო თანამშრომელთაგანო, შენის ცხედრის წინაშე მოწიწებით მუხლი მოვიყარო...

რა გითხრა?—

პოეზიაში გულწრფელი, სულიერ მონობის ბორკილების დამამსხვრეველი, ბრძოლის ჟინით გატაცებული, მუდამ ფხიზელი, მუდამ მოუსვენარი, მუდამ ხალხის სულისკვეთებათა გამომხატველი და სამშობლოს ნაღვლის გამომთქმელი,—აი შენი სამგოსნო ხატება.

სამოქალაქო ასპარეზზე მოურიდალი, სიტყვა ცეცხლოვანი ტრიბუნი, პირში მთქმელი და სწორად დამლახვრელი,— აი, შენი საზოგადოებრივი ხატება...

შენი კერძო ცხოვრება? შენი ცოლშვილი? შენი პირადი მეობა?—ეს ხომ სიმბოლოა, ასლია ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დადუხჭირებულ ცხოვრებისა...

ნიადაგ მოძმეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, პირადი „მე“-ს დავიწყება. ცხოვრება უთავბოლო, უწესრიგო, ქვეყნის ვაებით სულის გათანგვა, გულის დაავადება...

და, აჰა, ნაადრევი შავი სამარე...

მაგრამ ყველაზე მძაფრი შენს ცხოვრებაში ის იყო, რომ შენი სული დარჯაკში მოამწყვდიეს, ხელოვანი—მოაზრე ბრჭყალებში ჩაგკეტეს და თავისუფალ ნავარდს გიბორკავდენ, საკუთარ წვენში გხრაკავდენ.

ვითარცა სახელოვნო ჟურნალის ხელმძღვანელს, შენის ცხოვრების ეს მხარე უფრო მაღელვებს... დაე, შენს კუბოს წინაშე მაინც გაწითლდენ ის მოდარაჯაკენი, რომელნიც პოეტის თავისუფალ სულს ვიწრო ჩარჩოში ჰკეტავდენ.

ძვირფასო ნოე! ნუგეშად ისლა დაგრჩეს, რომ იმ დროს, როდესაც სამშობლოს ტრფიალი, საქართველოს ხსენება სამარცხვინოდ ითვლებოდა ბევრი ამხანაგისთვის, შენ თამამად გამოხველ და შენის ცეცხლოვანი სიტყვებით გაალხვე ბევრის გაყინული გული და შიგ სამშობლოს სიყვარული აუნთე.

ამ მხრით რაინდი ხარ, რაინდი შეუპოვარი!

ვითარცა სული მოუსვენარი დაჰქროდი შენს ტყვედქმნილ სამშობლოში, ცოცხალ მკვდრებს ამოძრავებისაკენ მოუწოდებდი, არ ურიგდებოდი ქვებუდანთა, ლაჩართა, მამულის ორგულთა...

და, აჰა, სულო მოუსვენარო, სამშობლო შენი უკვე თავისუფალია, ცოცხალი მკვდრებიც ამოძრავდენ, შენ კი ცივი სამარე ჩაგიკრავს...

დღეს შენს სამშობლოში ჩვენი ეროვნული დროშა უკვე მაღლა ფრიალებს, შენ კი გვერდით აღარ გვყეხარ...

მაგრამ გრწამდეს, რავთენად ჩვენი თავისუფალი სამშობლო წელში გამაგრდება, ფრთებს შეისხავს და სხვათა მოწინავე ერთა თანასწორი შეიქმნება, იმდენად შენს სახელსაც მუდამ ღვთიური მოწიწებით მოიხსენიებს, ვითარცა სამშობლოს კეთილშობილ რაინდისას ცეცხლოვან ჰანგებით მომღერლისას, ქვეყნის სიავით ალტყინებულ მოუსვენარ სულისას!...

„თეატრი და ცხოვრება-“ს სახელით კიდევ ერთხელ გიძღვნი თავმდაბალ სალამს და მუხლმოყრით გეამბორები!..

**იოსებ იმედაშვილი**

# მიწის ძვრა

მიწისა ნძრევა შეიქმნა
თებერვლისა ოცსა დღესა,
მაღალი მთიების ნგრევა—
ძვირფას სოფლების ნძრევა.

პარასკევსა ბრწყინვა დღესა,
რომ შეიქმნა დღის სამ საათი—
ტურფა გორი ჩვენ დაგვენგრა...
. . . . . . . . . . . . . . . .

ათას ცხრაასსა ოცსა წელსა
ქალი-რძალი, ქალი-ვაჟი დაიტანა—
ორასამდე აიტანა...
. . . . . . . . . . . . . . . . .

ვაჟ-კაცები სულ არჩია,
ყმაწვილებით შექმაზულნი—
აკვნიანად ჩარაზმულნი...

სულ დასწყვიტა
გიშრის თმანი,
სულ მოჰკრიფა —
ტურფა თვალნი.

თავადები და მთავარი —

აგერ გასკდაა ყავარი.
იჭკლესიები ანგრია,
შკოლებიც რომ აღარ დაგვრჩა.

გორის ჯვარი არ გაუშვა,
ციხე-კოშკი აღარ შეგვრჩა.
ციხე-კოშკსა ვინ იტირებს—
სახლებიც რომ აღარ დაგვრჩა.

სახლებსაც რომ ვინა სტირის —
გამოგვრეკა ცივ ქუჩებში.
ცივ ქუჩებსაც ვიღა ნაღვლობს
თლად დაგვყინა ცივ ძინდორში.

ცივ მინდორსაც ვინა დარდობს
ორას, სული ქართლის შვილნი ჩვენ დავკარგეთ,
სუსხის ქვეშე გაყინულნი...

მაგრამ სუსხსაც ვინ ინაღვლებს
ქორწილთ მეფე-პატარძალიც—
ნანგრევთა ქვეშ დაიტანა *)...

ცოდვასა ვსვამთ ღვინოსავით—
რომ არ ვტყდებით სპილოსავით.
მეტის მტრობით—გლისპობითა
ხილვას ვერ ვიხილავთ ღვთისას.

ცოდვა გვადევს მრავლად სხვისა...
ქუთაისსა რაონ - ერთვი(ს)
სულ ყველას დამჟარი ღმერთი.
მაღლა ცაში დაგვრჩა ერთი—
სულ ყველას შემნახი(ს) ღმერთი **).

*) ნამდვილი შესთხვევა, გორის მაზრ. 20 თებ. 1920 წ. მომ. ...რი. ეს ერთ-ერთი ეპიმოდია უსაშინელეს ხტიქონისა. ჩამწერი,

**) ბრიყ მეჩონგურე ნიკო ჯავახელის (35 წლ.) გადმოცემით, 20 წ. 11 აპრილს, ჩაწერილია შ. ბ.—ს მიერ გორის ნანგრევებზე.



**ბოდბის მონასტერში** თიბათვის 10 გაიმართა საღა... წარმოდგენით, უკანასკნელი კლასის მოწაფეთა ინი...ატორობით, რამაც ყველა ასიამოვნა. დაიდგა „მოტ...ებულნი“ და „გაცრუებული იმედი“. ნინო თუმანიშ...ლის ასულმა საგანგებოდ შეასრულა როლები: ნინო... („მოტყუებულში“) და ნინოსი („გაცრუებულს იმედ...ი“). ეტყობა საქმეს სერიოზულად და სიყვარულით ეპ...რობა, რითაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ვასო ...ოტყუებულში“ კაჭარავა ელპიტა და გაბო („გაცრუ...ული იმედი“) სამაგალითო იყო, იუმორისტიული იყო ...ქილაშვილი ზანა სომხის როლში, რომელმაც ძლიერ ...ვინა საზოგადოება. დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყო...დენ, სთქვეს ლექსები და სიმღერები. მოსიმღერეთ მოუ...ადებლობა ემჩნეოდა. კარგი ხელმძღვანელი მათგანვე უკეთეს მომღერალთ შექმნიდა. კარგი იყო აგრეთვე ფიზიკური ვარჯიშობა ქალ-პავშთა მონაწილეობით, მხოლოდ, სამწუხარო ის იყო რომ ვარჯიშობის დროს რუსულად ხელმძღვანელობდენ (ე. ი. „კომანდობდენ“). ნუ თუ დრო არ არის საქართველოში ყველა ეს ამოიშალოს! განა ჩვენ არა გვაქვს ქართული ტერმინები, რომ სამშობლო ენაზე ასწავლონ ბავშებს? ამას ყურადღება უნდა მიექცეს „შევარდენი“-სჩხრ-თ. დიდათ სასურველია, შევარდენი“-დან სიღნაღის მაზრაში მასწავლებელი დაინიშნოს, ვინაიდან მოწაფეები ბევრია და ფიზიკურს ვარჯიშობას ჩამორჩენილნი არიან. საერთოდ დიდი მადლობის ღირსნი არიან ინიციატორები ამ გვარ საღამოს გამართვისთვის.

**შალაურელი**

— —

**ქ. ზუგდიდში** იყო დრო—და მას აქეთ დიდი ხანი არ არის გასული,—რაც თეატრი სრულიად არ არსებობდა. შემდეგ, წელიწადში თითო ოროლა წარმოდგენის ნახვა იშვიათ მოვლენად მიგვაჩნდა. დღეს კი, როგორც ყველა ჩვენი პროვინციის თვალსაჩინო დაბა - ქალაქებში, ზუგდიდშიაც სათეატრო საქმე მტკიცედ იკიდებს ფეხს და ფესვებს იდგამს. არსებობს მოყვარულთა დრამ. წრე, რომელმაც ამ უკანასკნელ თვეში ხელმძღვანელად მოიწვია შ. დადიანი, რომლის რეჟისორობით უკვე სისტემატიურად იდგმება ქარ. წარმოდგენები. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ აქ თეატრის საქმე არ არის გამოწვეული რომელიმე ზემომავალის ბრძანებითა და შეაგონებით, ბრამედ ამ საქმეს ნათლად ემჩნევა ხალხის მოთხოვნილების სურვილი და სიყვარული.

ეს ფაქტი თეატრისთვის მის აღორძინების და დღეგრძელობის მომასწავებელია...

ზუგდიდში განზრახულია აგრეთვე სახალხო სახლის აგება, რისთვისაც როგორც ვიცით, ზუგდიდი-სამურზაყანოს კოოპერატ. კავშირმა უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯი: გადასდო თანხა, შეიძინა ადგილი და სხვ.. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმის ბოლომდე გამძღოლნი და დამგვირგვინებელნი „სხვადასხვა მიზეზებისა გამო “ გაჩუმებულნი არიან.

ჩვენ მოვუწოდებთ ადგილობრივ საზოგადოებას, რომ ამ უკვე საძირკველ ჩაყრილ და საშვილიშვილო საქმის გარშემო მეტი ფხა და უნარი გამოიჩინოს, თუ გვინდა, რომ ხალხს მიეცეს ის ძლიერი და კეთილშობილური გრძნობის ეროვნული თავმოყვარეობის შემმანარჩუნებელი ძარაღი, რომელსაც ეწოდება სახალხო თეატრი.

**ვ - ე**

— —

**ბათომში** ივნ. 6 და 8 ქართულმა დრამატიულმა სტუდიამ რკინის თეატრში წარმოადგინა პირველ დღეს შ. დადიანის 3 მოქ. „გუშინდელნი“. პიესა ლამაზი ენით აა დაწერილი. შიგ მოყვანილია ზემო იმერელთა ცხოვრება. აღმსრულებელნიც თითქმის ყველანი თავის ალაგას იყვნენ. წარმოდგენის დასასრულს საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა როგორც მონაწილენი აგრეთვე ავტორიც. მეორე დღეს დაიდგა ნ. შიუკაშვილის „სულელი“. პიესა კარგათ იქმნა შესრულებული—სტუდია—ეს პატარა ბალღია, რომელიც ეხლა იდგამს ფეხს და მას მაინცა და მაინც ბევრი არ მოეთხოვება. კარგები იყვნენ ბარონ შტროგნერ—შ. ღამბაშიძე ბარონესა შტროგნერი—ელ. ციმაკურიძე, ფრან. გაუფმან—ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



საძე, ადელაიდა ლვოვნა, მისი მეუღლე—ო. ღოღობერიძე, გერცინსკი—შ. გომელაური, მდიიანცი—სარაული მოახლე—გამრეკელი. რაც უმთავრესია ამ ხალხს შეუგნია როლები-ტიპები და ზედმიწევნით, დაკვირვებით ასრულებდენ. ყველაზედ უფრო ალსანიშნავია ორი ახალგაზდა მსახიობის თამაში მ. გელოვანი ~~გიორგი~~ გიორგი ჩარათაშვილი და ვ. ანჯაფარიძე—ლიზა, გაუფმანის დის წული. შეგნება-დაკვირვებასთან ერთად საუცხოვო განცდით თამაში და, რაც უმთავრესია, არც ერთი ადგილი არა აქვთ ჩასესხები თამაშში ამათ როლების წინა მოთამაშეებისაგან. ამ სალამოს მ. გელოვანმა და ანჯაფარიძის ასულმა თავიანთი თამაშით მოაჯადოვეს მაყურებელი საზოგადოება და თეატრიდან გამოსვლის შემდეგ მესმოდა ალტაცებით მათი ქება. ერთ-ერთმა ჩვენი მთავრობის წარმომადგენელმა ალტაცებით წამოიძახა: „**Давно не уходилъ съ театра такимъ впечатленіемъ**“-ო. ეს სალამო აგრეთვე იყო დღესასწაული ნ. შიუკაშვილისა, პიესის ავტორისა. პიესა ზედმიწევნით მხატვრულად არის დაწერილი და საუცხოვო მდიდარ ლიტერატურულ ენით. ერთი სიტყვით სტუდიამ დაამტკიცა რომ ის ღირსია როგორც მთავრობის ისე ხალხის ფართე დახმარებისა რომ მიაღწიონ მიზანს. ვინც ამ ორ წარმოდგენებს ნახავს, ის დარწმუნდება, რომ ჩვენ მომავალისთვის გვეზრდება ჩვენი სცენის ვარსკვლავთა მოადგილეები, თუმც ისინი მათ ადგილს იკავებენ ახალი კლასით, ახალი მიმართულებით. საზოგადოებამ მოთამაშეთ ყვავილები მიართვა. გულ-გადალეული მოველით მათს შემდეგ გასტროლებს.

**გ. ა—ბელი**

— —

**არტისტიულ საზოგადოების თეატრში** ივნისის 13 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“-ს 10 წ. არსებობის აღსანიშნავად გაიმართა საზეიმო სალამო, რომელიც დაიწყო პროფ. ს. ავალიანის ლექციით. ლექცია მოკლე. მაგრამ ფრიად შინაარსიანი იყო. ლექციის ბოლოში ლექტორმა იოსებ იმედაშვილი დაახასიათა, როგორც უნგარო, ხელოვნების სულის ჩამდგმელი და საოცარი ენერგიით დაჯილდოვებული ადამიანი.

ლექციის შემდეგ დაიდგა იოსებ იმედაშვილის ერთ მოქმედებიანი პიესა: „ალების ცეკვა“. უნდა ითქვას, რომ პიესა ლამაზად დაწერილია და შინაარსიანიც არის, რომლის სიუჟეტმაც გაგვახსენა ორი ახალგაზრდა სტუდენტის ტრაღედია. პიესა უფრო ღრმა შთაბეჭდილებას დასტოვებდა მაყურებლებზე, ტეხნიკური მხარე დაცული, რომ ყოფილიყო და რევოლვერი უსაფუძვლოდ არ ესროლათ. კარგები იყვნენ: მსახიობი ვიქტორ მატარაძე (გიორგი), ნ. რიჟამაძე (შოთა) და გ. ივერიელი (სალო). აგრეთვე დადგმული იქმნა სვ. წერეთლის 1 მოქ. შარჟი „რედაქციაში“. პიესა, როგორც შარჟი, მრავალ ფეროვანი გამოდგა. მშვენიერი იყო რედაქტორის როლში ბ. ვ. მატარაძე, რომელმაც საუცხოვოდ განასახიერა იოსებ იმედაშვილი. გრიმიც შესანიშნავი ჰქონდა. ბ ნ რიჟამაძეს ხმა სასცენო აქვს და მოხდენილადაც თამაშობდა მსახიობის როლს. კარგი იყო თავისი ნაზი ხმით ქ ნი ავალიანის ასული (მსახიობი ქალის როლში), მშვენივრად ცეკვავდა ქ-ნი ნ. წერეთლის ასული (ბალერინა), კარგები იყვნენ: ილორელი (ფუტურისტი), წერეთელი (უცნობი), გიგოშვილი (მეარღნე), ივერიელი (სუფრაჟისტა) და ვ. მიქელაძე (ბიჭი). უსიტყვო განსახიერებით საზოგადოება აცინა.

მესამედ ფარდის ახდისას სცენაზე გამოჩნდენ ქულაჯაში გამოწყობილი მომღერლები, რომელთაც მარჯვნივ და მარცხნივ ამშვენებდენ დები თარხნიშვილები და „თეატრი და ცხოვრება“-ს თანამშრომლები. მგოსნებმა ი. გრიშაშვილმა, და ვ. რუხაძემ სცენაზე გამოიყვანეს ბ-ნი იმედაშვილი, რომელსაც მომღერალთა გუნდი სიმღერით და საზოგადოება ტაშით შეხვდა. შემდეგ დაიწყო მილოცვები სიტყვებით და მრავალი ცოცხალი ყვავილების მირთმევით. აგრეთვე ფულად იყო შემოწირულება: ბეჭდვითი ამხანაგობისაგან 20000 მან. ირ. ბილანიშვილისაგან 1000 და სხ. *)

რედ.

შემდეგ ლექსები წაიკითხეს: ი. გრიშაშვილმა, ვ. რუხაძემ, ხ. ვარდოშვილმა, ე. ერთაწმინდელმა და დ. ჰანჰალელმა, ა. ავალიანის ასულმა აკაკის „თორნიკე ერისთავი“-დან. იმღერეს: ქ-მა ნ. ფავლენიშვილისამ და ბ-ნმა აკოფაშვილმა.

სალამოს გათავებისას ბ-ნმა იმედაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისათვის, რასაც მოყვა ძლიერი ტაში და „ვაშას“ ძახილი. საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

**ორ—გო**

— —

**ქართულ კლუბში** მაისის 16 პირველად წარმოადგინეს ა. სანებლელის პიესა „ქალის ცბიერება“ დრ. 5 მოქ. პიესა უხეში ენითაა დაწერილი, არაა დაცული წერის ტეხნიკა. ამასთანავე მნიშვნელოვანი ადგილები შეკვეცილია, არა მნიშვნელოვანი კი ძალზე გაზვიადებული. უკანასკნელი სურათი სიყალბეზეა აგებული. სცენის მოყვარეები ყველანი კარგად ასრულებდენ, გარდა მჭედლიშვილისა (არჩილის როლში). მას კარგად იცნობს საზოგადოება და მიკვირს რატომ ავტორმა არ იცოდა მისი უნიჭობა და სცენაზე რად გამოიყვანა?... საზოგადოება ცოტა დაესწრო.

**ხკამი № 308**

— —

**ლიხაურის** (გურია) ქალთა წრის გამგეობამ ფრიად შესანიშნავი და მისაბაძი ნაბიჯი გადასდგა. გადასწყვიტა პროფ. სკოლის დაარსება და ამ მიზნის განსახორციელებელი თანხის მოსაგროვებლად გამართა წარმოდგენა. წარმოდგენის წინ, მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა-შინამრეწველობაზე ბ. კ. ქავთარაძემ. შემდეგ წარმოდგენილ იქმნა ვ. გუნიას „და—ძმა“. მარინეს როლს ასრულებდა ქ-ნი ქ. კონტრიძე, რომელმაც საუცხოვოდ შეასრულა თავისი როლი. მისი სცენაზე ყოფნის დროს, მაყურებელთ ავიწყდებოდათ თეატრი და ნამდვილ ცხოვრებასთან ჰქონდათ საქმე. გაიოზის როლი შესაფერი აღმოჩნდა ბ. ნ. თაყაიშვილისთვის და მშვენივრადაც შეასრულა, რითაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. ოტია ჯოლიას როლს აკ. ლომჯარია ასრულებდა; ეს ახალგაზდა ძლიერია არტისტული ნიჭით, ღრმად გამსჭვალული თეატრის სიყვარულით, მაგრამ ოტიას როლი მისთვის შეუფერებელი გამოდგა და ამიტომაც მოსალოდნელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, თუმცა სხვებთან შედარებით ცუდათ არ უთამაშია. ფაშის როლს კარგათ ასრულებდა ბ. კონტრიძე; მაგრამ სამწუხაროდ იგი მოხუცი ტყვეს როლსაც ასრულებდა. ერთ და იმავე პიესაში, ერთი პიროვნების ორ როლში გამოსვლა მიზანშეუწონელია; მით უმეტეს ეს ლიხაურში

*) შემომწირველთა სრულ სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ უნდა მომხდარიყო, სადაც, საბედნიეროთ, სცენის მოყვარენი მრავლათ მოიპოებიან. ამით ბ. კონტრიძემ თავის თავსაც ავნო და ხალხზედაც ცუდათ იმოქმედა. ბ. ი. თაყაიშვილი ვერ ასრულებდა კარგათ გიორგის როლს; მისი უადგილო ყვირილი, არა ბუნებრივი აღელვება, უნებლიეთ ღიმილს ჰგვრიდა ხალხს. ადამიას როლის შემსრულებელი ბ. გოგოლიშვილი ძალიან სუსტობდა; აგრეთვე ვერ იდგა თავის პოსტზე გადიას როლის შემსრულებელი ქ-ნი მ. იორაშვილი; ვერც ს. ცეცხლაძემ დაგვისურათა ყარა ოღლის ტიპი. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, რადგანაც მთავარნი მომქმედნი პირნი კარგათ ასრულებდენ თავიანთ როლებს. შემდეგ, ბ. ე. თოდრაძის ხელმძღვანელობით მისმა მოწაფეებმა მშვენივრად წაიკითხეს ლექსები. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ვახშამი. ერთი ცუდი სენი სჭირია აქაურ სცენისმოყვარე ახალგაზდებს, რაც ძლიერ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. ხსენებულთ ძლიერ უყვართ ქეიფი, მაგრამ არა თავის ჯიბით. გამართავენ წარმოდგენას, გაამზადებენ ვახშამს ხალხისთვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისე გამოდის, რომ ვახშამი დაამზადეს არა ხალხისთვის, არამედ თავისთვის, რადგანაც ხალხი ვახშამს არ ესწრება და სცენის მოყვარენი მას მადიანათ შეექცევიან. ქალთა წრის გამგეობის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ ამ საღამოს ასე არ მომხდარა და წარმოდგენამაც გვარიანი თანხა დასტოვა. მოგება დარჩა 30000 მანეთამდე.

აღსანიშნავია და სამაგალითო ქ-ნ პ. ლომჯარიას ენერგიული მუშაობა ქალთა წრის გამგეობაში. ვუსურვებთ ქალებს, რომ ასეთი უანგარო და მუყაითი ქალები მრავლათ გამოჩენილიყვენ მათ წრეში.

**ე-გო-სუპერში.**

—

**ს. შუხუთის** ინტელიგენტი ახალგაზდობა ენერგიულად მუშაობს სასცენო ასპარეზზე. თუმცაღა აქაური მჭიდრო სცენა ფართოდ ფრთის გაშლის საშუალებას არ აძლევს. უნდა ითქვას კი რომ დღეს შუხეთში სცენა კიდევ უკეთესია. ენერგიულმა ახალ-გაზდობამ დროებით სახალხო სახლში მოათავსა და სცენა საკუთარიძალით შეძენილი დეკორაციით შეამკო. იმედია ასეთ ენერგიულ ხალხში საკუთარი სახლიც მალე აშენდება; ამ წინაზე დადგეს „ყაჩაღი არსენა“, დრ. 3 მ. ალ. ყაზბეგისა პიესის შინაარსი მეტად მოეწონა ხალხს და მოითხოვეს მისი გამეორება. წრის პრეზიდიუმმა რეჟისორად მოიწვია მსახ. ალ. ჯაყელი, რომელმაც არ დაიზარა ასეთ ხალხში მუშაობა და დასდგა „ბატონი და ყმა“ დრამ. 3 მოქ. „მელაძე“ და სხ. სასურველია აქაური სახალხო სახლის კომიტეტი უკეთესად მოაწყობდეს სცენას,—საჭიროა ტყის ფარდები, ფანჯრის ფარდები და ქულაჯები ძველი ქართული ყაიდისა. პიესაში ტყის საჭიროების დროს აწყობენ ცოცხალი ხის ტოტებით. ვუსურვებ ალ. ჯაყელსა და ახალ-გაზდებს ჩვეულებრივ მხნე მუშაობას. ეს წრე თითქმის სამი წელია უდრეკად მუშაობს და ნაყოფიც სჩანს. იმედია, თუ ასე იმუშავეს, როცა სახალხო სახლის კომიტეტი შენობას ააგებს; სრულ სახალხო სახლში უკვე დახელოვნებული პირებსა ხთიან ფარდას

**ილია ორაგველიძე**

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**(კოოპერაცია, პროფესორის შარლ ჟიდისა, იასონ გაბილაიას თარგმანი)**

ჩვენი ახალი, აღორძინებული მწერლობა თარგმანებითაც ძალიან სუსტი და ღარიბია. სულ წინათ, თითო ოროლა ლექსი რუსული პოეტებისა, თუ მოიპოვებოდა სადმე, ისიც დიდი ღვთის წყალობა იყო. ნელ-ნელა რუსეთელ ბელეტრისტებისგანაც დაიწყეს თარგმნა, მარა ბოლო ვერც ამას მიატანეს. მხოლოდ თვიური ჟურნალი, „მოამბის“ დაარსების შემდეგ, შეიქნა უფრო სისტემატიურათაც ბელეტრისტების ნაწერების თარგმნა და აქ ევროპელ ბელეტრისტების თარგმანებით თავიც ისახელა ვანო მაჭავარიანმა.

ჟურნალი „მოამბე“ შეჩერდა. და ჩვენი მწერლობა დღიური გაზეთების შემყურე შეიქნა და თარგმანების საქმეც გაიყინა. მწერლობა სწორეთ უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა ამ მხრით... შემდეგ, ეს დიდი, გასაშტერებელი საერთაშორისო ომიც ატყდა და, აბა, ვისღა ცხელოდა თარგმანებისთვის..

მარა, ამ საშინლად გაჭირებულ ყოფაშიაც, ჩვენი ცხოვრება მაინც ნელ-ნელა ნაბიჯს წინ დგამდა და სულ ყოველივე მხოლოდ და მარტო მსხვრევისა და ნგრევადაშლის პროცესს არ ემორჩილებოდა. ქართველთა ცხოვრების წიაღში გამოიჩეკა და აღორძინდა ახალი იდეა, კოოპერაციის იდეა და ჩვენი მწერლობის არე-მარეზე კოოპერაციის საქმეები ძლიერათაც წამოიჭრენ.

ამ ახალ ასპარეზზე ჩვენში თავი ისახელა სულ ახალგაზდა კაცმა, ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქტორმა—იასონ გაბილაიამ, რომელმაც ქ. ქუთაისში ამ რამდენიმე წლის წინად დაიწყო ჟურნალის წარმოება და კოოპერაციის ცხოველი იდეები, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, ჩვენს ქვეყანას მოფინა.

მაგრამ იგი მარტო ჟურნალის გამოცემითაც არ კმაყოფილდებოდა. ხშირად მიდი-მოდიოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს, მართავდა ლექციებს და ცოცხალი სიტყვის საშუალებით, აცნობდა ქართველობას კოოპერაციების, ამხანაგობითა და ერთმანეთთან თანამშრომლობით, რამდენიმე კაცის თავმოყრით საქმის გაკეთებას.

იგი, თურმე, ამითაც არ კმაყოფილდებოდა, მას უთარგმნია წიგნებიც, ძალიან დიდი ტანიანი წიგნები, როგორც მაგალითად, პარიზის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სოციალურ ეკონომიის პროფესორი—შარლჟიდის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები *) და ამავე პროფესორის სიტყვები, კოოპერაციის შესახებ წარმოთქმული. ეს სიტყვები ორ საკმაოთ მოზდილ ტომს შეიცავს და საუცხოო ქართული ენით არი გადმოთარგმნილი. ეს კი იშვიათი, ჯერ არც ნახული, არც გაგონილი მოვლინებაა ჩვენი ლიტერატურისთვის და ორი სერიოზული ნაშრომის გადმოთარგმნა მთელი განძია ქართული მწერლობისათვის. პროფესორი ჟიდის ნაშრომის გადმოთარგმნით ამიერიდან მდიდრდება ქართული ლიტერატურა სრულიად ახალი შინაარსით, ახალი იდეებით და მას თვალწინ ეშლება ახალი ჰორიონტები და პერსპეკტივები. ეს ამბავი გაამხნევებს დაწააქეზებს ჩვენს ფხიზელ დემოკრატიას, მიბაძოს დაწი-

*) ბიბლიოგრაფიის ამ წიგნზე მალე წარუდგენთ მკითხველს. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაურებულ ერთა დემოკრატიებს: ინგლისის, ბელგეთის და სხვა ქვეყნების ხალხებს და იმათსავით ჩაებას ცხოვრების ახალს დუღილსა და კვარცხალში და თვისი ნივთიერი ცხოვრების ბედ იღბალი საკუთარი ძალ ღონით ენერგიით და შრომით თვით გაჭედოს სამერმისოდ.

გადმოთარგმნილი წიგნის შინაარსია: 1) ფურიეს წინასწარმეტყველებანი. ეს სიტყვა პროფესორს წარმოუთქვამს 1886 წ., 8 აპრილს, ნიმის სახალხო ეკონომიის საზოგადოებაში და დიდი შთაბეჭდილებაც მოუხდენია. 2) კოოპერაცია და მუშათა პარტია საფრანგეთში. ეს სიტყვა მან წარმოსთქვა საფრანგეთის მომხმარებელ საზ. მეორე კონგრესის გახსნის დროს. ლიონში 1886 წ. 19 სექტემბერს.

ამ სიტყვაში პროფესორს განმარტებული აქვს სოციალისტების არგუმენტები, კოოპერაციის წინაამდეგ წამოყენებული. პროფესორი ამ არგუმენტებს აბუჩათ როდი იგდებს. აქ იგი იძლევა ფრიად შესანიშნავ პირებს და ამბობს, რომ ეს არგუმენტები კოოპერაციაზე ხელს ვერ აგვაღებიებსო.

კოოპერატივში მუშათა კლასს ცოდნასა და სათნოებას აძლევენ, ურომლისოთაც იგი ვერაოდეს ვერ დაიკავებს საზოგადოებრივ წყობილებაში იმ ადგილს, რომლისთვისაც იგი იბრძვის და რომლის უფლებაც მას აქვს.

დიდი, შეუდარებელი უპირატესობანი კოოპერაციებისა, ნამდვილი და ჭეშმარიტი დანიშნულება და ფუნქცია მათი სწორეთ ეს არისო. და რევოლიუციონურ სოციალისტთა პარტიის წევრიც რო ვიყო, მაინც დიდათ დავაფასებდი კოოპერაციის ამ ფუნქციასო.

ეს სიტყვა პროფესორს დასრულებული აქვს ამ ნაირათ: პირველად მხოლოთ ის ქვეყანა შეძლებს სოციალურ საკითხთა გადაწყვეტას, რომელიც კოოპერაციის უმაღლეს საფეხურზე ასვლას სხვებზე უფრო ადრე მოახერხებსო. 3) კოოპერაციის მომავალი. ეს სიტყვა პროფ. ჟიდმა პარიზში წარმოსთქვა, 1888 წ., 13 მაისს პარიზის თითქმის ყველა მომხ. საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით და ამანაც დიდი შთაბეჭდილებას მოახდინა საზოგადოებაზე. **ხომლელი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# წვრილი ამბები

**„თეატრი და ცხოვრება"-ს** არსებობის ათის წლის შესრულების სახსოვარი სალამო გაიმართა „არტისტიული საზოგადოების თეატრში" ივნისის 13. იყო მილოცვები და ფულით შემოწირულება. შემომწირველთა სიას შემდეგ გამოვაქვეყნებთ. ამავე მიზნით მეორე ქართულ კლუბში (პლეხანოვის პრ.) კვირას, ივნისის 27 იმართება მეორე სალამო. სალამოს პროგრამა საყურადღებოდ არის შედგენილი.

**იასე რაჭველის** ხსოვნის აღსანიშნავად ხუთშაბათს, ივნისის 24 მუშათ ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ. 123) გაიმართება დიდი სალამო-წარმოდგენა-ლექცია.

**ვლ. ალ. მესხიშვილი** რუსეთიდან თბილის. ჩამოვიდა ივნისს 13, მსახიობთ კავშირმა ნადიმი გაუმართა.

# მილოცვები

**ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს არსებობის 10 წლის შესრულების გამო** *)

ერობათა კავშირის კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება-"ს მესვეურთ და უსურვებს ხანგრძლივ მოღვაწეობას სამშობლოს კეთილდღეობისა და ხელოვნების აყვავებისათვის.

საქართველოს ერობათა ცენტ. ბიურო

**ერო-კავშირი ცეკვაშვილი.**

---

ქართული ხელოვნების და ქართველი ერის აღორძინებისათვის დაუღალავ მუშაკს, დამაარსებელს, სულის ჩამდგმელს და რედაქტორს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება-"სა ძვირფას **იოსებს**, ნიშნად ღრმა პატივისცემისა, უძღვნის სალამს, ულოცავს ჟურნალის დაარსების 10 წლის თავს და აახლებს ამ მცირე წვლილს (20,000 მან.)

**ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

---

დიდათ პატივცემულო ბ. იოსებ!

თბილისის სახელმწიფო თეატრის სახელით გილოცავთ „თეატრი და ცხოვრება-"ს ათი წლის არსებობის დღესასწაულს. თქვენის მედგარი და მუყაითის მუშაობით შესძელით ყოველივე დაბრკოლებანი გადაგელახათ, და თეატრის და ცხოვრების სამხატვრო დროშა არას დროს არ დაგიშვიათ ძირს, რომ მას ჩირქი მოსცხებოდეს.

სახელმწიფო თეატრის კომისარი **ალ. წუწუნავა**

---

**იოსებ იმედაშვილს.**

მოგილოცავთ შენი პირმშო შვილის „თეატრი და ცხოვრება"-ს ათი წლის არსებას. ვუსურვებთ ჩვენს სამშობლოს შენისთანა დაუღალავ და ნაყოფიერ მუშაკთა გამრავლებას. **ნინო ყიფიანი კოტე ყიფიანი**

---

Журналъ „Искусство" привѣтствуетъ своего собрата, желая многолѣтняго процвѣтанія на тернистомъ пути безкорыстнаго служенія искусству

**Тарумовъ, Львовъ**

*) რედაქციას მრავალი მისალოცი დეპეშა და წერილი მოსდის, ვბეჭდავთ ზოგიერთებს, ზოგი შემდეგ დაიბეჭდება. რედ.


გამოვიდა

# ნოე ჟორდანიას

თხზულებათა პირველი ტომი

**თბილისის ხელის მომწერლებმა** უნდა მიიღონ გამომცემლობის კანტორაში (რუსთაველის პრ. № 26). ვისაც შემოტანილი აქვს ბე ყველა თხუთმეტი ტომის 450 მან. თითო ეკზემპლიარზედ, იმათ უნდა წარმოადგინონ ნაღდათ 70 მან.

სხვა ხელის მომწერთა მიერ შემოტანილი ბე დარჩება გამოცემის დასრულებამდის და ამ ჟამად ნაღდათ უნდა შემოიტანონ წიგნის **მთელი ღირებულება 100 მ.**

**პროვინციის ხელის მომწერლებს** ამავე წესით გაეგზავნებათ წიგნი ფასდადებით ფოსტით.

**ქუთაისში კი ხელის მომწერლები** მიიღებენ წიგნს გამომცემლობის სააგენტოში ისიდორე კვიცარიძესთან.

ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივლისამდის.

(5—1)


რედაქტორი **იოსებ იმედაშვილი** გამომცემელი **ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26.